ცხოველთა კომბინირებული საკვების წარმოება

სოფო ცქიტიშვილი

ელ. ფოსტა: sopo.tskitishvili567@ens.tsu.edu.ge

ქიმის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ცხოველთა კომბინირებული საკვების განვითარება და გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას თანამედროვე აგრარული და ვეტერინარული მეცნიერების სფეროში. მსოფლიო მასშტაბით, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად, მკვეთრად იზრდება მოთხოვნა კომბინირებული საკვების მიმართ, რაც თავის მხრივ განაპირობებს საკვების ტექნოლოგიური შემადგენლობის ოპტიმიზაციასა და ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

კომბინირებული საკვები წარმოადგენს ცხოველის ტიპის, ასაკისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით შემდგარ რეცეპტს, რომელიც შედგება მარცვეულისგან, ცილოვანი დანამატების, ვიტამინებისა და მინერალებისაგან. რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის სრულფასოვან ზრდასა და განვითარებას. სწორი კვება პირდაპირ კავშირშია ცხოველების პროდუქტიულობასთან, სწრაფ ზრდასთან და საერთო ჯანმრთელობასთან.

ნაშრომში განხილულია „ინვეტ ფიდი“-ს საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია, რომელიც მზადდება თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით. აღნიშნული დაწესებულება აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საკვებს, რომელთა შორისაა: რქოსანი პირუტყვი, კურდღელი, ღორი და ქათამი. პროდუქცია გამოირჩევა ფართო რეალიზაციის არეალით, როგორც ადგილობრივი დაწესებულებების, ასევე მეზობელი ქვეყნების გათვალისწინებით. საკვები მიეწოდება ადგილობრივ ფერმერებს, და ასევე სარეალიზაციოდ გადის სომხეთსა და აზერბაიჯანში. კომბინირებული საკვების დამზადების ტექნოლოგია ინოვაციურია.

ნაშრომი მოიცავსი კომბინირებულ საკვების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ინოვაციურ კვლევების განხილვას. აღნიშნული კვლევები გვაწვდის ინფორმაციას ცილის ახალი წყაროების შესახებ, რომელთა ბროილერის საკვებში დამატების შემთხვევაში გარკვეული უპირატესობები გააჩნიათ.

სემინარის მიზანია განიხილოს არსებული მიდგომები ცხოველთა კომბინირებული საკვების თანამედროვე ტენდენციებზე, კომპოზიციის ოპტიმიზაციის გზესა და მათ გავლენაზე. ასევე, ხარისხის კონტროლის მნიშვნელობაზე. თემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, კომბინირებული საკვების განვითარების მიზნით ინოვაციური სიახლეების არსებობა, მათ განხილვა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენების გათვალისიწნებით.